

წინასიტყვაობა

სტატისტიკური ცნობარი “ჯანმრთელობის დაცვა” წარმოადგენს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ყოველწლიურ გამოცემას, რომელშიც ასახულია ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის და ჯანდაცვის რესურსების ამსახველი ძირითადი სტატისტიკური მაჩვენებლები. ცნობარი გამოიცემა 1996 წლიდან.

ცნობარი მომზადებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაავადებათა კონტროლის და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრის მიერ დარგობრივი სტატისტიკური ანგარიშების საფუძველზე.

ცნობარში მოყვანილი მაჩვენებლების გაანგარიშებისას გამოყენებულია გაეროს და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდირებული მეთოდოლოგია, რაც განაპირობებს საქართველოს მაჩვენებლების შედარებითობას სხვა ქვეყნების მაჩვენებლებთან. ცნობარს დანართის სახით თან ახლავს მაჩვენებელთა დათვლის ფორმულები.

ცნობარში განხილულია მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მაჩვენებლები, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობა და მონაცემები ცალკეულ დაავადებათა კლასების მიხედვით: ინფექციური და პარაზიტული, ონკოლოგიური, გულსისხლძარღვთა, ფსიქიური, ენდოკრინული, სუნთქვის ორგანოთა, შარდსასქესო სისტემის და სხვა დაავადებები. წარმოდგენილია საქართველოს ცალკეული რეგიონის მონაცემთა ანალიზი, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს ჯანდაცვის სისტემის პრიორიტეტული მიმართულებები არა მარტო ქვეყნის მასშტაბით, არამედ რეგიონალურ ჯრილშიც.